სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის
დეპარტამენტი

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ფინანსური მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში

4 თებერვალი, 2022

სარჩევი

I. ზოგადი ინფორმაცია.....3

II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები.....4
1. შემოსავლები.....4
2. ხარჯები.....5

III. მონიტორინგის შედეგები.....6
1. შემოწირულებების, საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების, განცხადებებისა და მედიამონიტორინგის შედეგების შესწავლა.....6
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები.....7

I. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მიერ საარჩევნო პერიოდში მიღებული შემოსავლების, გაწეული ხარჯებისა და განხორციელებული ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის შედეგების შესახებ.

2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობდა 43 პარტია[1] და 68 დამოუკიდებელი კანდიდატი.

საარჩევნო სუბიექტებს, საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და საქართველოს გენერალური აუდიტორის ბრძანების[2] შესაბამისად, განესაზღვრათ საარჩევნო კამპანიის შესახებ ფინანსური ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება შემდეგი პერიოდების მიხედვით:

- ინფორმაცია 2021 წლის 2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით – 26 აგვისტომდე;
- ინფორმაცია 2021 წლის 23 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით – 16 სექტემბრამდე;
- ინფორმაცია 2021 წლის 13 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით – 7 ოქტომბრამდე;
- ინფორმაცია 2021 წლის 2 აგვისტოდან 2 ოქტომბრის ჩათვლით – 14 ოქტომბრამდე (იმ საარჩევნო სუბიექტების მიერ, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით მიიღეს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობა);
- ინფორმაცია 2021 წლის 2 აგვისტოდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე – შედეგების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში (არჩევნებში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა);
- პირველი ტურის კენჭისყრის დღის (2 ოქტომბერი) შემდგომ განხორციელებული საქმიანობის ფინანსური ანგარიში – მეორე ტურის გამართვის დღემდე 3 დღით ადრე (მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა);
- ინფორმაცია 2021 წლის 2 აგვისტოდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღის ჩათვლით – მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში (მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაახლა პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესი, მათ შორის: ანგარიშგების ფორმებს დაემატა ინფორმაცია სესხის/კრედიტის და გენდერული ნიშნით მიღებული დაფინანსების შესახებ; გაუმჯობესდა საარჩევნო კამპანიის ფონდის განმარტება, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წესი და სხვა რეგულაციები. შესაბამისი ცვლილებები გამოქვეყნდა სამსახურის ვებგვერდზე და გაეგზავნა ყველა საარჩევნო სუბიექტს.

2021 წლის 17 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა საარჩევნო პერიოდში მათი ანგარიშგების ვალდებულებები და საკანონმდებლო სიახლეები. შეხვედრას 26 პარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა.

2021 წლის 17 სექტემბერს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით, საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების წარმოდგენისა და ანალიზის საკითხები, შემოსული განცხადებებისა და შემოწირულებების შესწავლის სტატუსები და სხვ.

---

1 პარტიების მიერ წარდგენილია: 18,896 კანდიდატი პარტიული სიით (საკრებულოს პროპორციული არჩევნები), 2,713 კანდიდატი (საკრებულოს მაჟორიტარული არჩევნები), 227 კანდიდატი (თვითმმართველი თემის, თვითმმართველი ქალაქისა და საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერის არჩევნები).

2 „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2021 წლის 5 აგვისტოს N012036/21 ბრძანება.

II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები

1. შემოსავლები

საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების ორი ძირითადი წყარო აქვთ: შემოწირულებები და საბიუჯეტო დაფინანსება. ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ 2 აგვისტოდან 13 ნოემბრის ჩათვლით[3] პერიოდში მიღებულია 28,056,925 ლარის შემოსავალი, კერძოდ:

N	საარჩევნო სუბიექტის დასახელება	საბიუჯეტო შემოსავალი	შემოწირულება	სხვა შემოსავალი[4]	ჯამური შემოსავალი[5]
1	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	1 285 005	15 694 369	1 001 464[6]	17 980 838
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	549 909	2 437 472	1 683	2 989 064
3	ლელო საქართველოსთვის	200 890	2 271 737	4 000	2 476 627
4	გახარია საქართველოსთვის	-	1 263 469	890	1 264 359
5	ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	281 102	124 319	500 390[7]	905 811
6	ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“	706 883	-	168	707 051
7	მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი	234 981	116 500	-	351 481
8	ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	451 944	11 599	-	463 543
9	დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	260 780	37 370	-	298 150
10	საქართველოს ევროპელი დემოკრატები	115 000	6	-	115 006
11	დანარჩენი სუბიექტები	152 537	343 069	9 390	504 995
	ჯამი:	4 239 031	22 299 910	1 517 984	28 056 925

3 არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე პერიოდი.

4 კომერციული ბანკებიდან აღებული სესხი, ოფისის გაქირავებით მიღებული შემოსავალი, საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვა საბანკო ანგარიშზე, სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება და სხვ.

5 ცხრილში სახელდებით მითითებულია ის სუბიექტები, რომელთა შემოსავლები აღემატება 100,000 ლარს.

6 მათ შორის კომერციული ბანკიდან აღებული სესხი - 1,000,000 ლარი.

7 მათ შორის კომერციული ბანკიდან აღებული სესხი - 500,000 ლარი.

2. ხარჯები

საარჩევნო სუბიექტების მიერ 2 აგვისტოდან 13 ნოემბრის ჩათვლით[8] პერიოდში ჯამურად დახარჯულია 27,179,317 ლარი, კერძოდ:

N	საარჩევნო სუბიექტის დასახელება	რეკლამა	შრომის ანაზღაურება	სხვა ხარჯები[9]	ჯამური ხარჯი[10]
1	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	14 752 408	228 844	2 952 022	17 933 274
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1 335 424	719 628	888 564	2 943 616
3	ლელო საქართველოსთვის	1 926 822	73 582	465 883	2 466 286
4	გახარია საქართველოსთვის	699 676	3 000	466 599	1 169 275
5	ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	300 161	24 158	367 404	691 723
6	ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“	260 581	-	351 059	611 640
7	მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი	159 385	12 883	115 619	287 887
8	ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	241 809	14 635	12 928	269 372
9	დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	37 864	132 963	59 950	230 777
10	საქართველოს ევროპელი დემოკრატები	4 960	90 000	7 882	102 842
11	დანარჩენი სუბიექტები	127 246	120 492	224 887	472 625
	ჯამი:	19 846 336	1 420 185	5 912 796	27 179 317

საარჩევნო სუბიექტების მიერ დეკლარირებული შემოსავლებისა და ხარჯების გადამოწმების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური სისტემატურად ახორციელებს მათ შედარებას საბანკო ამონაწერებთან და მედიამონიტორინგის შედეგებთან.

8 არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე პერიოდი.

9 ოფისების იჯარის ხარჯები, კომუნალური ხარჯები, მივლინების ხარჯები, კონფერენციების/ტრენინგების ხარჯები და სხვ.

10 ცხრილში სახელდებით მითითებულია ის სუბიექტები, რომელთა საარჩევნო პერიოდის ხარჯები აღემატება 100,000 ლარს.

III. მონიტორინგის შედეგები

1. შემოწირულებების, საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების, განცხადებებისა და მედიამონიტორინგის შედეგების შესწავლა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, მონიტორინგის განხორციელების მიზნით, გამოითხოვა ფინანსური ანგარიშები: პარტიებისგან – 2021 წლის ივნისისა და ივლისის მდგომარეობით, ხოლო საარჩევნო სუბიექტებისგან – 2021 წლის 2 აგვისტოდან 13 ნოემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშების შემოწმების ფარგლებში, შემოწირულებების კანონიერების შესწავლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია: შემოსავლების სამსახურიდან – 1,149 ფიზიკური პირის და 63 იურიდიული პირის შემოსავლებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ; კომერციული ბანკებიდან – 61 ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ. ასევე, შემოსავლების დასაბუთების მიზნით, დამატებითი განმარტებებისთვის გამოიკითხა 10 პირი.

ფინანსური ანგარიშების შემოწმების შედეგად გამოვლინდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების დარღვევით – ნაღდი ანგარიშსწორებით[11] პარტიის საბანკო ანგარიშზე შემოწირულების განხორციელების ექვსი ფაქტი. აღნიშნულ შემთხვევებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თანხის დაბრუნების მოთხოვნით მიმართა საარჩევნო სუბიექტებს. შედეგად, ექვსივე დარღვევა აღმოიფხვრა.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემოსული განცხადებების, სამსახურის მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგის მონაცემებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად, დაიწყო 31 საქმის წარმოება, აქედან:

- 29 საქმეზე შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და დასადასტურებლად წარედგინა სასამართლოს;
- 2 საქმე შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

11 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

- 2021 წლის 2 აგვისტოდან 16 აგვისტომდე პერიოდში პარტიას „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ სამცხე-ჯავახეთიდან 87-მა (ოთხმოცდაშვიდი) ფიზიკურმა პირმა და 5-მა (ხუთი) იურიდიულმა პირმა, ჯამში, 714,000 ლარი შესწირა.

  სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, შემოწირულებების კანონიერების შემოწმების მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოითხოვა ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან ზემოაღნიშნული შემომწირველი პირების შემოსავლების შესახებ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე დამატებით გამოითხოვა 12 შემომწირველი პირის კომერციულ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების ამსახველი ინფორმაცია. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, დამატებით გამოიკითხა ერთი პირი.

  შესწავლის შედეგად, შემოწირულებების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით განხორციელების ფაქტი არ გამოვლენილა.

- 2021 წლის სექტემბერში ქვეყნის მასშტაბით გარე რეკლამისათვის განკუთვნილ ადგილებში განთავსდა რამდენიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერისგან თავის შეკავებისკენ მიმართული პოლიტიკური შინაარსიის ბანერები წარწერით: „არა ნაცებს, არა ბოროტებას, არა ღალატს“.

  სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ზემოაღნიშნული ბანერების განთავსების მიზნით გაწეული ხარჯის კანონიერების დასადგენად. ამ მიზნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოითხოვა ინფორმაცია: ბანერების განთავსების ადგილების მფლობელი კომპანიისგან[12] – ბანერების განთავსებისა და გაწეული ხარჯის შესახებ;[13] შემოსავლების სამსახურიდან და კომერციული ბანკებიდან – ხარჯის გამწევი პირის ფინანსების შესახებ. ასევე დამატებითი ინფორმაცია მიღებულ იქნა ხარჯის გამწევი პირისგან.

  შესწავლის შედეგად, ხარჯის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით განხორციელების ფაქტი არ გამოვლენილა.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარიმართა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება პარტია „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ – გირჩის მიერ პოლიტიკური ფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის 4 ფაქტზე, კერძოდ:

  - 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, პარტია „გირჩმა“, რამდენიმე ეტაპად, საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში თავისი წარმომადგენლების ვაკანსიები გაასხვისა საჯარო ელექტრონული აუქციონის გზით. აუქციონების შედეგად მიღებული თანხა – ჯამში 234,459.9 ლარი ჩაირიცხა რელიგიური ორგანიზაცია სსიპ – საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული, ეკლესიის – „ბიბლიური თავისუფლების“ საბანკო ანგარიშზე. აღნიშნული ქმედებით პარტიამ შემოსავალი

12 შპს „ალმა“.

13 ბანერების განთავსებაზე გაწეულმა ხარჯმა 60,000 ლარი შეადგინა.

მიიღო „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნების[14] დარღვევით.

- პარტია „გირჩმა“, 2021 წლის 17 ივლისიდან 19 ოქტომბრამდე პერიოდში, კანონით დადგენილი წესის დარღვევით,[15] რელიგიური ორგანიზაცია სსიპ – საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული, ეკლესიის – „ბიბლიური თავისუფლების“ საბანკო ანგარიშზე მიიღო კანონმდებლობით აკრძალული შემოწირულება – 9,634 ლარი.
- პარტია „გირჩმა“, 2021 წლის 6-7 სექტემბერს, ფიქტიურად, ვებდეველოპერული მომსახურების საფასურის დანიშნულებით, ი/მ ოთარ ზაკალაშვილს გადაურიცხა 324,174 ლარი, რის შემდეგაც განახორციელა ამ თანხის განაღდება და კონვერტაცია აშშ დოლარში. 8 სექტემბერს, შემდგომი გათამაშების მიზნით, ნაღდი ანგარიშსწორებით 100,000 აშშ დოლარად შეძენილ იქნა ავტომანქანა პორშე „ტაიკანი“. აღნიშნული ქმედებით პარტია „გირჩმა“ დაარღვია დადგენილი წესი უნაღდო ანგარიშსწორების შესახებ.[16]
- პარტია „გირჩმა“ ავტომანქანა პორშე „ტაიკანის“ შეძენის ხარჯის დეკლარირება არ განახორციელა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინა არასწორი ფინანსური ანგარიში, რითაც დაარღვია ანგარიშვალდებულების შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნა.[17]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით ყველა ზემოაღნიშნულ ფაქტზე პარტია „გირჩი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელი დაედო იმ სამართალდარღვევისთვის, სადაც დაწესებულია უფრო მაღალი სანქცია. შედეგად, პარტია „გირჩი“ დაჯარიმდა აკრძალული შემოწირულების ორმაგი ოდენობით (19,268 ლარი) და ამავდროულად დაეკისრა აკრძალული შემოწირულების (9,634 ლარი) სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარიმართა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება პარტიის „გირჩი - მეტი თავისუფლება“ მიერ პოლიტიკური ფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის 3 ფაქტზე, კერძოდ:

  - პარტიას „გირჩი – მეტი თავისუფლება“ 2021 წლის 2 აგვისტოდან 16 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში საბანკო ანგარიშზე 595 ტრანზაქციით მიღებული აქვს აკრძალული შემოწირულება 47,590.77 ლარის ოდენობით. აღნიშნული შემოწირულების ნაწილი მიღებულია უცხოურ ვალუტაში ნაღდი ანგარიშსწორებით, ნაწილი – ვებპორტალის (www.girchi.org) მეშვეობით, საიდანაც შემომწირველი პირი ვერ იდენტიფიცირდება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, შემოწირულება განხორციელებული არ არის შემომწირველის კუთვნილი ანგარიშიდან. შედეგად, დარღვეულია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები.[18]

---

14 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი.

15 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 27^1 მუხლის პირველი პუნქტი.

16 გენერალური აუდიტორის 2021 წლის 5 აგვისტოს N012036/21 ბრძანებით დამტკიცებული პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

17 საქართველოს საარჩევნო კოდექსის 85-ე მუხლის პირველი პუნქტი.

18 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. შედეგად, პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლება“ დაჯარიმდა აკრძალული შემოწირულების ორმაგი ოდენობით – 95,181.54 ლარით და დაეკისრა აკრძალული შემოწირულების – 47,590.77 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა.

- პარტიამ „გირჩი – მეტი თავისუფლება“ არ შეასრულა კანონით დადგენილი ვალდებულება[19] შემოწირულების მიღებისა და საწევრო შენატანის განხორციელების (ჯამში – 15,031 ლარი) შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის წარდგენის თაობაზე.

  სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. შედეგად, პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლება“ დაჯარიმდა 5,000 ლარით.

- პარტიამ „გირჩი – მეტი თავისუფლება“ არ შეასრულა კანონით დადგენილი მოთხოვნა ანგარიშვალდებულების შესახებ[20] და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ წარუდგინა ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის პირველი, მეორე, მესამე სამკვირიანი პერიოდის, წინასწარი და მეორე ტურის ფინანსური ანგარიშები.

  სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. შედეგად, პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლება“ დაჯარიმდა 5,000 ლარით.

- გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შესწავლის შედეგად გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილულ იქნა 22 საქმე, მათ შორის, 18 დამოუკიდებელი კანდიდატისა და 4 პარტიის მიმართ. ყველა მათგანს ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება (იხ. დანართი).

---

19 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 27^1 მუხლის პირველი პუნქტი.

20 საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 57-ე მუხლი და 85-ე მუხლის პირველი პუნქტი.

დანართი

N	პარტია/ საარჩევნო სუბიექტი	ინფორმაცია სამართალდარღვევის შესახებ	მიღებული გადაწყვეტილება
1	დემოკრატთა ალიანსი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
2	საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
3	რეფორმატორები	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
4	ჩვენი გაერთიანებული საქართველო	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
5	გიორგი ჯავახიშვილი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
6	ბესიკ ქავთარაძე	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
7	ისლამ მარგოშვილი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
8	გიორგი იოსელიანი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
9	უშანგი ბოლქვაძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
10	მერაბ მერაბიშვილი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
11	გოგი ეფხოშვილი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
12	გია ბიჭაშვილი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
13	ჯემალ ჭკადუა	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
14	თამაზ ბექაური	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
15	რუსლან ჯუღაშვილი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
16	გიორგი დოლიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
17	კახაბერ ცისკარიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
18	ლია რობაქიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
19	სპარტაკ კაპანაძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
20	ადელინა ჭაბუკიანი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
21	მალხაზ სოლომონიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
22	მევლუდ წულუკიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
WWW.MONITORING.SAO.GE
SAO.GE